ნაციონალური

კვირა ოქტომბრის 10 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო №. 10 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. ხტრიქონი პეტიტი 1 გვერდზე—15 მან. მ-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატელის შეგროვება, შენახვა. მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატელის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატელის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მოსარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების** დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზეიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პროსპექტი, № 21; ტელ. № 8—07)

დრამატიული საზოგადოების გამგეობა

სეზონი 1920—1921 წლისა

დასის შემადგენლობა

(ანბანის რიგით)

მხახიობნი

ვასილ აბაშიძე
ტასო აბაშიძე
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი
ცაცა ამირეჯიბი
ვერიკო ანჯაფარიძე
ვასილ არაბიძე
სუზანა ბეჟანიშვილი
ბარბალე გამრეკელი
ნინო გამრეკელი-თორელი
მიხეილ გელოვანი
შაქრო გომელაურა
გიორგი დავითა-შვილი
ნინო დავითაშვილი
ელენე დონაური
აკაკი ვასაძე
იუზა ზარდალი-შვილი
ალექსანდრე იმედა-შვილი
პლატონ კორიშელი
არეთა ლოლუა
მიხეილ ლორთქიფა-ნიძე
ეფემია მესხი
დიმიტრი მჟავია
ანდრია მურუსიძე
ბაბო როსტომა-შვილი
მიხეილ სარაჯი
გიორგი სარჩიმელიძე
პავლე ფრანგიშვილი
გოგია ფრონისპი-რელი
ალისა ქიქოძე
ანეტა ქიქოძე
ოლიმპიადა ღოღო-ბერიძე
ალექსანდრე ყალა-ბეგიშვილი
ანნა შოთაძე
ნიკო ციციშვილი
ელენე ციმაკურიძე
ვეჩე ჯიქია
ელისაბედ ჩერქეზი-შვილი
ანნა ჩხეიძე
ნინო ჩხეიძე
შალვა ხონელი
სალომე ჰავჰავაძე
მიხეილ ჰიაურელი

რეჟისორები:
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი
ალაქსანდრე ახმე-ტელი
აკაკი ფაღავა
მიხეილ ქორელი
ალექსანდრე წუწუ-ნავა

მორიგი რეჟისორი:
შაქრო ბერიშვილი

თანაშემწენი:
ნინო გამრეკელი-თორელი
ალექსანდრე გველ-სიანი

სცენარიუსები
გიგო იორდანი-შვილი
კუკური პატარიძე

მოკარნახენი
სერგო ამაღლობელი
ბეგლარ ახოსპირელი
ანტონ სვანიძე

მხატვარნი
ალექსანდრე ზალტ-მანი
ვალერიან სიდამ.-ერისთავი

დეკორატორი
დიმიტრი ნაღება-შვილი

თანამშრომელნი
ალექს. ალავიძე
ისაკ ანთაძე
გიორგი ბახტაძე
პანტელ. ბერაძე
არჩილ გიორგაძე
ზაქარია გიორგაძე
საქარია გრემი
ქეთევან ინასარიძე
ამბროსი იობიძე
ალექსან. კუპრაძე
იოს. მათიაშვილი
გრიგ. მაისურაძე.
ვიქტორ მამალაძე
დომენტი მელაძე
ლევან მესხიძე
ვალერ. მინდელი
ვლადიმერ მჭედ-ლიშვილი
ილია პაატაშვილი
ნიკოლ. რიჟამაძე
შალვა რობაქიძე
თამარ ქაფთარაძე
თამარ ჭავჭავაძე

უახლოესი რეპერტუარი

ორიგინალი

„გუშინდელნი“—შალვა დადიანისა „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“—დ. კლდიაშვილისა, „ბერდო ზმანია“ და „უგვირგვინო მეფენი“—ალ. შანშიაშვილისა, „რაც გინახავს ეედარ ნახავ“—ავქსენტი ცაგარლისა, „მსხვერპლი“—ი. გედევანიშვილისა.

თარგმნი

„ოიდიპოს მეფე“—სოფოკლესი „ოტელო“ და „ჭირვეული ცოლის მორჯულება“—შექსპირისა, „ამრიამ მაგდალინელი“—ჰაიზესი, „სასტუმროს დიასახლისი“—გოლდონისა, „ექიმი შტოკმანი“—იბსენისა „ზღვასთან“—ენგელისა, „სიტრუე“—ვინნიჩენკოსი.

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერობო და საპარლამენტო არჩევნების ხამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ახსნა—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კურის გამოტანის წესი

1. თანახმად მთავრობის 30 სექტემბრის დადგენილებისა, არავის არა აქვს უფლება გამოიტანოს ხორბლეულობა გორის, სილნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან გარდა მომარაგების სამინისტროსი.

2. მხოლოდ იმ პირთ, ვისაც ზემოთ აღნიშნულ მაზრებში აქვთ თავიანთი საკუთარი ჩირნახული, არა ყიდვით შეძენილი, არამედ ან ლალა თავის მამულის, ან საკუთარი შისი ოჯახის ნამუშევარი—მას უფლება ეძლევა გამოიტანოს მაზრიდან თავის ოჯახის საჭიროებისათვის ოჯახზე თვიურ სახარჯოთ არა უმეტეს ხუთი ფუთისა, ე. ი. სამოცი ფუთი წლიურათ. ამ რაოდენობის გამოტანა შეიძლება როგორც ერთად ისე ნაწილობრივ.

შენიშნვა ხორბლეულობა უნდა გამოგზავნილ იქნეს რკინის გზით.

3. ხორბლეულობა, საქონლის მატარებლით, თუ ბაგაჟით, უნდა გამოგზავნილ იქნეს აუცილებლად მომარაგების სამინისტროს სახელზე სადგურ თბილისში, სადაც სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მიეცემა პატრონს ხორბლეულობა.

4. საბუთებია საჭიროა: ა) მოწმობა აღგილობრივ ეროობის ან თემის, რომ წამოღებული ხორბლეულობა არის წარმომეფლების საკუთრება და იგი არ არის მის მიერ შესყიდული, თანახმად ამ დადგენილების მეორე პუნქტისა; ბ) პასპორტი ან სხვა მოწმობა პიროვნების; გ) მოწმობა უბნის კომისარის მისი ოჯახის წევრთა ვინაობის და საცხოვრებლის ბინის მისამართი.

5. სადგურ თბილისში დანიშნულია მომარაგების სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობაც არის ამგვარათ გამოგზავნილი ხორბლეულობის გამოსაგზავნი და მისაღები დოკუმენტების შემოწმება და კანონიერათ გამოგზავნილი ხორბლეულობის მის პატრონისადმი გადმოცემა და რეგისტრაცია.

6. თუ ხორბლეულობის გამომგზანი ვერ წარმოადგენს ამ დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ საბუთებს, ან ყალბ საბუთებს წარმოადგენს, ან გასასყიდათ გამოიტანს ერთმევა ხორბლეულობა უსასყიდლოთ და თვით გამომგზავნი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

7. საზოგადო დაწესებულებანი, რომლებიც მისცემენ ხორბლის გამოტანს ყალბს მოწმობას, აგრეთვე იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

მომარაგების სამინისტრო

საქართველოს გედი

ამერიკის აღმოჩენამ ფატალური როლი ითამაშა მთელი აღმოსავლეთისთვის. კერძოდ საქართველოს უბედური ისტორია აქედან იწყება, რადგან მთელი ევროპის ყურადღება და ენერგია ამერიკისაკენ წავიდა მანამდის კი ევროპა დიდ ყურადღებას აქცევდა აღმოსავლეთს, ერთი უდიდესი ფაქტორთაგანი საქართველოსათვის იყო ჯვაროსანი ომები. მაშინ დელ ევროპას სწამდა, როგორც დღეს ჩვენშიდ ზოგიერთ „მოწინავეს“ მწამს სოციალიზმიდ, რომ როგორც კი მიაღწევდენ ქრისტეს საფლავს, დადგებოდა ამა წუთი სოფლის სამოთხე და ბედნიერებაო.

ყოველივე ეს შეწყდა, როცა ჯერ ისპანიელები და მერმე იტალიელებიც ძაშინდელი პირველი მეზღვაურები, აღმოსავლეთს ჩამოსცილდენ და გაეშურენ ამერიკისაკენ. ჩვენ მიერ დაარსებული ბუფერი ტრაპიზონის იმპერია ჩაყლაპეს ოსმალოებმა, შემოგვერტყენ სარტყელივით ნელნელა შემოიჭრენ ზოგგან თავისი რჯულის ქადაკებით, უფრო კი მახვილით და სამი საუკუნის განმავლობაში სჯჯგნეს ჩვენი კულტურა და დოვლათი, სანამ არ მივეკედლეთ ერთ—მორწმუნე რუსეთს.

რუსეთმა პირველად დახმარება გაგვიწია იმით, რომ ოსმალებისაგან დაგვიფარა მაგრამ შემდეგ ბედი დაგვაწყევლინა და საკითხიც კი დაგვიყენა, ვინ სჯობდა—რუსეთი თუ ოსმალეთი?

1884 წელს პრუსიის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ფონ-შმოლერმა, იმგზავრა საქართველოში და აი რას სწერს: „რომელიმე ქვეყანაში რომ დაჰყონ 33 წელი ინგლისელებმა, 33 წელი ფრანგებმა და 33 წელი გერმანელებმა და დარგონ იქ მათი კულტურა, სრულიად საკმარისია მხოლოდ ერთი წელი ამ ქვეყანაში რუსებისთვის, რომ ყველაფერი ძირიანად ამოაგდონო“.

დაბოლოს, როგორც იქნა ნოვესწარით იმას, რომ გერმანიის დახმარებით, აღვადგინეთ სახელმწიფო საქართველო.

მაგრამ როგორ ვაწყობთ მას, როგორი ელემენტების ხელშია მთავარი ძალა.

გადავხედოთ მოკლედ ჩვენს უახლოეს ნამუშევარს და გავითვალისწინოთ მომავალი.

სოციალური წყობილებით დავარღვიეთ ფეოდალიზმი და გავამეფეთ შრომის პრინციპიო, ამბობენ სოციალისტები... კი მართალია დაირღვა, ჰქრება ფეოდალიზმი, მაგრამ შრომის პრინციპს ვერ ვხედავთ. თუ ფეოდალიზმის დროს უმაღლესი წოდება—მემამულენი სარგებლობდნენ ყოველივე სიკეთით, დღეს მშრომელი—კი არ სარგებლობს სიკეთით, არამედ უბრალო მუშა. ამისთანა დამცირება და აბუჩად აგდება ინტელიგენტური შრომისა, როგორც ეს ხდება დღეს საქართველოში, არსად დედა-მიწის ზურგზედ არ მოიძებნება.

საგარეო პოლიტიკაში შედარებით ჩვენ მეზობლებისა, არა გვიშავს რა, მხოლოდ იმ გავლენას, რასაც ევროპა ახლენს საქართველოს საქმეებზე. ჩვენი პოლიტიკის გამარჯვებათ მიგვაჩნია და ვტრაბახობთ მეტს, ვიდრე ვაკეთებთ.

გუშინდელი სოფლის მასწავლებელი, გარბის დიპლომატად და ჰკრავს იმისთანა ცელშეკრულობას, რომლის წინაშე ყოველივე მოვლენას მიჩვეული სოციალისტური მთავრობაც გაოცებაში მოდის.

ეკონომიკაში ხომ სულ დადუბვის გზით მივდივართ:

იმაზედ არავინ ზრუნავს, რომ ხალხი დაარწმუნოს შრომის პატივისცემაში საყოველთაო შრომის გამეფებაში და რომ თვით ფული როგორც საქონელი ნაყოფია კაცის შრომისა, რომ ფული იგივე საქონელია, რომელიც კაცობრიობამ ათასი წლობის დაკვირვების შემდეგ მიიღო იმ საქონლად, რომელიც თვით შრომას აფასებს და საქონელსაც.

თეორეტიულად რვა საათი სამუშაო დღეა შემოღებული. მაშასადამე კვირაში უნდა იყოს 48 საათი, ვთქვათ 46. სინამდვილეში იმ საწყალ დაწესებულებებში, რომელსაც ჰქვია ჩვენში „ქარხანა“, ყველა მიჩერებია სამუშაო დროს—საათს, რომ მალე გავიდეს აქედანო, ყველა მიჩერებია უქმე დღეს. თუ ძველი უქმე შეხვდა კვირაში. იუქმებენ, ახალი რევოლიუციისას იუქმებენ, სოციალისტურს იუქმებენ, საეკლესიოს იუქმებენ, თუ ვინმე კიდევ ჩამოვიდა, ანუ მოხდა რაიმე პოლიტიკური აქტი იუქმებენ. თუ ებრალია თავისი უქმე აქვს კიდევ ზედმეტი, თუ მაჰმადიანია და სხვ.

ასე არის ყველა მიჩერებული უქმეზე და მუქთი პურის ჭამაზე. რომ იანგარიშოს კაცმა არ გამოდის 24 საათი კვირაში ე. ი. 4 საათი დღეში. არ გაგონილა დედა-მიწაზედ ასეთი სიზარმაცე საერთო სიზარმაცე-ავადმყოფობად გადაიქცა. და ეს იმ დროს, როდესაც ინგლისში უდიდეს უქმევ ერისთვის ომში თავდადებულთათვის მთელი დღე კი არ სწყვეტენ მუშაობას როგორც ჩვეულებაა ჩვენში, არამედ მხოლოდ ათი წუთით.

თუ ჩვენ პატიოსან შრომას არ შევეჩვიეთ და ვერ შევქმენით შესაფერი მთავრობა, რომელიც ამაზედ იზრუნებს ჩვენი საქმე სამუდამოდ წასულია ხელიდან.

თუ ინტენსიურ შრომას არ მიეჩვია ჩვენი ხალხი, ჩვენ ესპანიის როლი მოგველის; სიმდიდრეც ბევრი ჰქონდათ ესპანელებს, ოქროც მაგრამ ხალხის მასსა არ შრომობდა და ასი წლის შამდეგ ისპანია გაღარიბდა, ხოლო მისი მეზობელი მუყაითი ინგლისი გამდიდრდა. ინგლისელები აკეთებდენ საქონელს და ჰყიდდენ ოქროთი ისპანელებს. ბოლოს შრომის ჩვეულებაც და ოქროც ხელში ინგლისელებს დარჩათ ხოლო ისპანელებს შერჩათ გიტარა. ასე ვართ ჩვენც, თუ არ შევეჩვიეთ შრომას, ხელში გურული „ფიშტო“ შეგვრჩება.

დ. ს. ლოლობერიძე.

უკანასკნელი ცნობები

ფინლანდიის ცნობით, ტროცკი წითელ არმიელების აჯანყების დროს დაუჭრიათ.

საზავო პირობებით, რუსეთი პოლონეთს უბრუნებს ხოლმს.

გერმანიაში მთავრობა იცვლება.

ოსმხეთ ოსმალეთის ომი.

ოსმალები უტევენ სომხებს ოლთის არტანიის, სარაყამიშ-ყარსის და ალაშკერტ-ერევანის მიმართულებით.

ოსმალებს სულ 3 დივიზია ყავთ 15 ათასამდე.

მოსკოვის რადიო იტყობინება, რომ არტაანში თათრების წინააღმდეგ ქართველების ჯარი დაიძრა და მოსალოდნელია ქართველთა და ოსმალთა შეტაკებაო.

აძერბეიჯანმა წინადადება მისცა ხოსმხეთს, კონფერენცია მოვაწყოთო.

საქართველოს მთავრობას ჩიჩერინისაგან ნოტა მოსვლია, თუ საჭირო იქნება, რუსეთი გასწევს შუამდგომლობას ოსმალებსა და საქართველოს შორისო.

ქრონიკა.

ჯანმრთელობის დეპარტამენტში.

სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტმა დაამუშავა ბიულეტენი გადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ სექტემბრის 22-დან სექტემბრის 30-მდე. აღნიშნულ დროს განმავლობაში შენიშნულია შემდეგი ავადმყოფობანი: სექტემბრის 29-მდე ბათომში შავი ჭირით ავად იყო 27 კაცი, კვირის განმავლობაში გახდა ავად 11, მოკვდა 5, მორჩა 11, სექტემბრის 30 საავადმყოფოში იწვა 22 ავადმყოფი, თბილისში სექტემბრის 22-მდე ხოლერით ავად იყო 10 კაცი, ერთი კვირის განმავლობაში გახდა ავათ 6, მოკვდა 1, მორჩა 10, დარჩა საავადმყოფოში 5.

სოც.-დელეგაცია და შავი ზღვის მხარე.

სოციალისტურმა ელეგაციამ გიუსმანსის სახით შავი ზღვის მხარის გლეხობის დელეგატს ნიკოლაევს შემდეგი წერილით მიმართა: „ძვირფასო მოქალაქე, დასავლეთ ევროპის სოციალისტების დელეგაციამ კმაყოფილებით მიიღო დღეს დილით თქვენი ორგანიზაციის წევრი და დიდი ინტერესით წაიკითხა თქვენი მოხსენება. დელეგაცია მოვალეთ სთვლის თავს აცნობოს ევროპის პროლეტარიატს ის მძიმე პირობები რომელშიაც თქვენ ცხოვრობდით და იყიც თუ როგორ იტანჯებოდით თქვენ. ჩვენი დელეგატები უკვე შეეკითხენ თავის ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენელებს, თუ რატომ არ გასცეს მათ პასუხი თქვენ მიერ დეკემბერში წარდგენილ მოხსენებაზე. ჩვენ დაუყონებლივ გაცნობებთ ოფიციალურ პასუხს. ჩვენ სურვილი გვაქვს ვიქონიოთ თქვენთან კავშირი საქართველოს სოც. დემ. საშუალებით. როგორც თქვენ ისე ჩვენც შორს ვდგევართ როგორც რუსეთის რეაქციიდან, ისე ბოლშევიზმიდან და ვიზამთ ყველაფერს, რის შეძლებაც გვექნება თქვენ დასახმარებლად. შავი ზღვის მხარიე

გლეხების დელეგაციის წევრმა გიუსმანსის წერილის საპასუხოთ ევროპის სოც.-დელეგაციის მიმართ წერილით, რომელშიაც უღრმეს მადლობას უცხადებს დელეგაციას იმ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან შავი ზღვის მხრის გლეხებისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის მხარის გლეხების ერთ ერთ მიზანს და სურვილს შეადგენს გარეშე ძალების ჩაურევლობა, მათ შორის გენ. ვრანგელისაც.

საღამოს სამუშაო

სოხუმის შრომის კომისარი შეეკითხა შრომის სამინისტროს, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ თუ არა ზედ მეტი სამუშაოსათვის ჯილდო და ან ვალდებულნი არიან თუ არა, რომ იმორიგეონ. შრომის სამინისტრომ უპასუხა, ხსენებულ დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო დღე განსაზღვრული არაა და მორიგეობა კი უნდა გასწიონ თუ ამას საქმის ინტერესები მოითხოვსო.

ბერნშტეინი.

ლონდონი. სექტ. 19. საქართველოს დამფ. კრების წევრის ე. ბერნშტეინი „ტაიმსის" ცნობით გერმანიის კანცლერმა მიიღო.

რკინის გზის აღმშენებლობა.

მთავრობამ ოქტომბრის 5 სხდომაზე დაადგინა: იცნოს შესაძლებლად სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის შტოს გაგრძელება ქალ. ზუგდიდამდე გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ წარდგენილ ვარიანტის თანახმად იმ პირობით. თუ ზუგდიდი შტოს გაყვანისათვის საჭირო მიწის სამუშაოს თავის თავზე მიიღებს.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტები.

მთავრობამ დაადგინა მიიღოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ. გადაწყდა პროექტი დამფუძნებელ კრებაში შეიტანონ.

სააფთიაქო საწყობები.

მთავრობამ, მოისმინა რა მოხსენება ცენტრალურ სააფთიაქო საწყობის და 2 ლაბორატორიის დაარსების შესახებ, დაადგინა მიიღოს პრინციპიალურად მოხსენება. გადაწყდა გადასცენ არსებული საწყობი სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტს თავის განკარგულებისათვის და მიანდონ ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლს ჯანმრთელობის დეპარტამენტთან ერთად შეიმუშაონ შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა და წარუდგინონ იგი მთავრობას.

სტოკსი მთავრობის თავმჯდომარესთან.

ოქტომბრის 8 მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ინახულა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოკსმა და ხანგრძლივი მოლაპარაკება ქონდა მასთან. მთავრობის თავმჯდომარე ინახულა აგრეთვე ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა და ზუგდიდის ერობისა და ქალაქის თვითმართველობის დელეგაციამ.

მთავრობის თავმჯდომარე

იღებს მთხოვნელებს მხოლოდ ოთხშაბათობით 12—2 საათამდე მთავრობის სახლში. მთხოვნელები უეჭველად 10—12 საათამდი უნდა ჩაეწერონ.

დამფუძნებელ კრებაში.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ა. ლომთათიძემ აიღო ერთი თვის შვებულება და მისი მოვალეობის ასრულება დაევალა ს. გ. მდივანს.

პროპაგანდა.

პროპაგანდის კომისიის დავალებით თელავის მაზრაში წავიდა დამფუძნებელ კრების წევრი ლ. ჩხეიძე.

განათლების სამინისტროში.

განათლების სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასაჯოს ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებით ან ციხეში დამწყვდევით ყველა ის სტამბის მეპატრონეები, რომლებიც არღვევენ 1919 წ. დეკემბრის 16 კანონს დაბეჭდილ ნაწარმოებთა 12 ცალად განათლების სამინისტროში წარმოდგენის შესახებ.

გეოგრაფიის სახელმძღვანელოდ

ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ლ. სლოვინსკიმ განათლების სამინისტროს სასწავლო კომისიას წარუდგინა განსახილველად თავის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფია ქართულ ენაზე.

თეატრი პანორამა

„პანორამის" ამხანაგობა იუწყება მთავრობის დახმარებით მის მიერ დაწყებული შენობის აგება ამ მოკლე ხანში დასრულდებაო. სურათი „გოლგოთა", რომელიც მიუნხენის ცნობილ მხატვრების მიერ არის დახატული უკვე ჩამოიტანეს, თბილისში. თეატრში სახალხო წარმოდგენები გაიმართება. თეატრი დაიტევს 5.000 კაცს.

სომეხთა მიტინგები თბილისში

რეზოლიუცია საბერძნეთის მიმართ.

თბილისის სომეხ სცხოვრებთა მიტინგზე, რომელიც ოსმალთა თავდასხმის გამოსაცხადებლად შესდგა. მიიღეს რეზოლიუცია სადაც გამოთქმულია თანაგრძნობა მიგობარ ბერძნების მიმართ, რომლებიც იბრძვიან ოსმალების წინააღმდეგ რეზოლიუციაში გატარებულია პროტესტი ოსმალთა თავდასხმის გამო სომხეთზე. ოსმალთა მოკავშირე-ბოლშევიკების გეგმისა. რევოლიუციაში გამოთქმული ,იმედია, რომ საბერძნეთის ერი, ვენიზელოსის მეთაურობით მხარს დაუჭერს სომხეთს და ფიზიკურ განადგურებისაგან გადაარჩენს მას.

რეზოლიუცია რუსეთის მიმართ

ამასთანავე მიიღეს საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც გადასცეს საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენელს საქართველოში. რეზოლიუცია ასეთი შინაარსისაა: თბილისის მოქალაქეები ძლიერ აღაშფოთა ოსმალეთის კონტრ-რევოლიუციონერებისა და ფეოდალების სომხეთის მშრომელ ხალხზე თავდასხმამ. ანგარიშს ვუწევთ იმ გარემოებას, რომ ანგარიშს მთავრობა მოკავშირეა საბჭოთა რუსეთის მთავრობის რისთვისაც საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენლის წინაშე რუსეთის მოკავშირის მიერ სომხეთის დემოკრატიაზე თავდასხმის გამო ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ. საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც თავის დეკლარაციებში არა ერთხელ აღიარა ერთა და მშრომელთა თვითგამორკვევის უფლება, უნდა მიიღოს ზომები ოსმალეთის კონტრ-რევოლიუციონერთა თავდასხმის შესაჩერებლად, თუ არ უნდა რომ სომხეთის მშრომელი ხალხის თავისუფლების ჯალათად დარჩეს.

რეზოლიუცია საქართველოს მიმართ.

საქართველოს დემ. კრებასა და მთავრობას რეზოლიუცია გადაეცა სადაც თბილისის სომხობა და სომხის წარმომადგენლობითი ორგანოები მიაპყრობენ საქართველოს რესპუბლიკის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მის მოკავშირე სომხეთის ტერიტორიის საზღვარში შემოიჭრა მუსტაფა ქემალის ჯარი და ამბობენ, რომ „სომხეთს მოუწევს მათთან გმირული ბრძოლა, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და ფიზიკური არსებობა. ამ ბრძოლამ არ შეიძლება არ პოვოს თანაგრძნობა საქართველოს ხალხსა და მთავრობაში. საქართველოს მთავრობას ამავე იდეალების გამო ბრძოლა ჰქონდა ხსენებულ ძალებთან. ის ჰქვე არა აღშფოთებით შეხედა საბჭოთა რუსეთის უსინდისო პოლიტიკას მცირე ერების მიმართ, რომლისათვისაც მას მოაქვს დამხობა და სიკვდილი. ამ სამთა კავშირმა თუ თავისი ბნელი გეგმები შეასრულეს სომხეთთან, მაშინ ის გადაიქცევა საქართველოს დამოუკიდებლობის საფრთხედ. საქართველოს მოქალაქე სომხებს იმედი აქვთ, რომ საქართველო სომხეთისა და თავისი დამოუკიდებლობისა და აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობიანობის ინტერესების დასაცავად განათლებულ კაცობრიობის წინაშე პროტესტს განუცხადებს მოსკოვის მთავრობისა და მისი მოკავშირე „ოსმალეთ აზერბეიჯანის სოციალის გამო და სომხეთს თავის ძმურ დახმარებას აღმოუჩენს ამ უთანასწორო ბრძოლაში."

ა. ლომთათიძის სიტყვა.

დამფუძნებელ კრების შენობიდან მეტად დიდი ენტუზიაზმით სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნ. კრების პრეზიდიუმის სახელით თავმჯდომარის ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ, რომელმაც მოუწოდა სომხეთისა და ქართველ დემოკრატიას შეერთებულიყვნენ მოსულ მტრის გასამკლავებლად. ლომთათიძის სიტყვის დასაწყის და დასასრულ შესრულებულ იქმნა ჰიმნი.

კორესპონდენცია თელავიდან.

(სამღვთო სჯული თელავის გიმნაზიაში).

25 ენკ. თელავის ვაჟთა გიმნაზიის მშობელთა კრება იყო დანიშნული. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. გოგნიაშვილი, რომელმაც კრებას გააცნო წარსულის წლის ანგარიში და მშობელთა წრის მოღვაწეობა. ანგარიში დამტკიცდა და კრებამ წევრებს გულითადი მადლობა უძღვნა იმ შრომისთვის, რომელიც მათ მიუძღვით სასწავლებლის და სწავლის ფულიდან განთავისუფლებულ ღარიბ მოწაფეთა წინაშე. შემდეგ დაისვა კითხვა: ისწავლებოდეს სამღვთო სჯული ამ სასწავლო წლიდან სასწავლებელში თუ არა? ეს კითხვა ზოგიერთისთვის თუ მოულოდნელი იყო, მშობელთათვის დიდად მომწიფებული და დღიურ საბოროტო საკითხად გამხდარი. იყვნენ კრებაზე ისეთებიც, რომელნიც მოსწავლეთა ზნეობრივ გახრწნილებას პირდაპირ უკავშირებდნენ ქრისტეს სჯულის განდევნას სასწავლებლიდან.

კრება ორ ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს იდგნენ უმეტესად მშობლები, მეორე მხარეს მასწავლებელნი და გარეშენი. პირველნი და მათ შორის: ბ.ბ. ციცქიშვილი, დეკანოზიშვილი, ხატიაშვილი, გოგნიაშვილი და სხვ. ყოველ კომპრომისის გარეშე მოითხოვდნენ საღმრთო სჯულის სწავლებას თავისის ისტორიით და ჩვენის ეკლესიის თავგადასავლით; მით უმეტეს, რომ ეს არ არის განათლების სამინისტროსგან აკრძალული, და არც ვისმეს აქვს ნება ჩვენს შვილებს დაუხშოს რელიგიური გრძნობა და თავისი სჯულის ცოდნაო... ეს ბოროტება არ ჩაუდენია არც თამერლანს, არც აღამაჰმადხანს და დღეს თავისუფალ საქართველოში რომელიმე სოციალისტურ პარტიის წყალობით არ უნდა პარპაშებდეს დროშა „უგუნურთა, რომელთა სთქვეს გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი" (წინასწარმეტყველი დავითი), არის მარტო მაიმუნი და ჩვენ მისი შვილებიო (დამსწრე მშობელი): ხოლო მეორე ჯგუფი და მათ შორის ბ.ბ. ედილაშვილი, მარკოზაშვილი, დუდაშაური, რაზმაძე და სხვ. უარს ჰყოფდნენ სამღვთო სჯულის სწავლებას იმ საბუთით, რომ საღმრთო სჯულის ცოდნას არა აქვს კავშირი ზნეობის სისპეტაკესთან და სწავლება ამ საგნისა იმ დროს, როდესაც ბავშვები დატვირთულნი არიან სავალდებულო სასწავლო საგნებით, მეტი რომ არა ვსთქვათ, დროს დაკარგვა იქნებაო დასამტკიცებლად უჩვენებდნენ რუსეთის სოლოვეცკის მონასტერზედ კიევის ლავრაზედ და ძველს ყოფილს ჩვენს სემინარიაზედ, სადაც პირველად აუხილდათ გონების თვალი ჩვენს ოპონენტებს. ამათ ავიწყდებოდათ, რომ რუსეთის ბერმონაზნების ავხორცობა ჩვენთვის მისაბაძი არ ყოფილა და არც ვინმე ამას მოითხოვს ეხლა. ჩვენი ძველი სასწავლებლები—სასულიერო და საერო—მართალია გაქელენთილი იყვნენ ანტიპედაგოგიურის სახით, რომლითაც სულსაც და ხორცსაც გვიშხამავდნენ, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ჩვენ მოვითხოვთ სწავლებას მაცხოვრის მცნებისას: „იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცად", პატივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცით მშრომელთა და აღმზრდელთა თქვენთა, რათა კეთილი გეყოთ თქვენ და დღეგრძელი იქმნეთ“: „ნუ ბოროტს უყოფდეთ მოძულეთა და მაწყევართა თქვენთა“; „განიგდე მონაგები შენი ყოველივე, თუ გინდა სრული იყო და შემომიდეგ მე“; „აიღე ჯვარი ჩემი“; „არა ერთითა პურითა მხოლოდ ცოცხალ იქმნების კაცი“. აი, რის სწავლებას ვთხოულობთ ჩვენ და არა იეზუიტების, უნიფხოების (ისტორიული სახელია) ჟარონდისტებისა და სხვა ორდენების-ს, რომელთა კაცთ-მოძულეობას მილიონობით უდანაშაულოთა სისხლი ანთხია ქვეყნად.

არც ის საბუთია შესაწყნარებელი, რომ ჩვენი შვილები დატვირთულნი არიან ბევრის სასწავლო საგნებით და ამისთვის საღმრთო სჯული არ უნდა ისწავლებოდესო.

— რა საჭიროა ჩვენს ახალ ფეხადგმულს გიმნაზიაში სამ უცხო ენის სწავლება, როდესაც ჯერ ჩვენის ენის სწავლებაც ვერ დაგვიყენებია ჯეროვანს ნიადაგზედ?

— მოსპეთ ერთი უცხო ენის სწავლება და მის ბადლად შემოიღეთ საღმრთო სჯულის სწავლება. მაგრამ უამისოდაც მოგვარდება საქმე. სურვილი იყოს. იყო კიდევ გამოთქმული აზრი, რომ გადაწყვეტა საკითხისა ეკითხოს ბავშვებსაო.

ბ. ცქიტიშვილმა კარგად უპასუხა, რომ თუ ბალღებს შეეკითხებით სწავლის შესახებ, იმათ მარტო თამაშობა უნდათ გიმნასტიკაზე დასიმღერა და სხვა არაფერიო. მე კიდევ დავუმატებდი რომ 1793 წლ. საფრანგეთის დიდის რევოლიუციის დასახრულს პარიზის შეთქმულებმა, წინადადება მისცეს კონვენტს—შეეკითხეთ მოსწავლე ბავშვებს რა სურთ სწავლის შესახებ— ქვეყნის მფარველნი გაბრიყვდნენ და შეეკითხენ. პასუხად მიიღეს: „ჩვენი სურვილია რომ ყველა ჩვენი მასწავლებელი თუ ნებით არა ძალით მაინც ვილიოტინაზედ ასული გვენახოსო“ ვინ იქნება თავდები, რომ ჩვენი გიმნაზიის მოწაფენი ამგვარს რასმე არ მოითხოვენ?

ყველა ეს უარყოფითი მოსაზრებანი იქმნა გაცხრილული და კრებამ სასურველად სცნო რომ მოკლე ხანში მოწვეულ იქნეს ფართოდ მშობელთა საზოგადოება ამ საგნის დადებითად გადასაწყვეტად, კომისიის ასარჩევად სწავლების მეთოდის 4 გვემის შესამუშავებლად, რომლის შემდეგაც ეთხოვოს გიმნაზიის დირექტორს გამოუყოს თავისუფალი დრო ამ საგნის სწავლებას და მოითხოვოს მასწავლებელი. მოსალოდნელ ხარჯის გადებას მშობელნი სიამოვნებით კისრულობენ.

დამსწრე

მესაქონლეობის ვეტერინარული ზედამხედველობა

(წესდება)

1. საქონლის პატრონები თემის წარმომადგენელთან ერთად წინდაწინვე ნიშნავენ საქონლის იალაღზედ (საზაფხულო და საზამთრო საოვრებზედ) წასასვლელ დროს.

2. საქონელი გადის სოფლიდგან ან ერთად, ან ცალცალკე ნახირებად.

3. როდესაც მთელი თემი მიემგზავრება იალაღზედ მას თან მიჰყვება თემის წარმომადგენელი, როდესაც მიემგზავრება ცალკე სოფელი, თან მიჰყვება თემის წარმომადგენელი ან საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი.

4. თემის გამგეობა 15 დღით ადრე წარუდგენს მაზრის ერობის გამგეობას საკომლო სიას იმ საქონლის პატრონებისას, რომელნიც ერთად მიემგზავრებიან იალაღზედ. ყოველ ამგვარ სიაში ნაჩვენები უნდა იყოს რიცხვი საქონლისა თვითეულ საქონლის პატრონისა, გზა, სახელი იალაღისა და სახელი საძოვრისა იალაღზედ, დრო გამგზავრებისა და აგრეთვე ის პირი, რომელიც მისდევს მათ თანახმად მე-4 § ამ წესდებისა.

5. მაზრის ერობის გამგეობა სიებს გადასცემს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს, რომელიც გასინჯავს რა საქონელს და დარწმუნდება მის სისაღეში ჭირის მხრივ, ნებას აძლევს იალაღზედ წასვლისას, რაზედაც ხელს აწერს იმავე სიაში და გადასცემს მას თემის გამგეობას იმ პირის ჩასაბარებლად, რომელიც მიყვება საქონელს.

შენიშვნა 1. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ არ მოიპოვება ექიმი-ვეტერინარი, საქონლის გარეკა იალაღზედ შეიძლება თემის მოწმობით.

შენიშვნა 2. იმ სოფელში რომლებიც მიემგზავრებიან იალაღზედ, საქონლის გასინჯვა სავეტერინარო პერსონალს შეუძლიან დაიწყოს 1 მარტიდგან.

6. ყოველი ნახირი სამთაბარო საქონლისა გადის სოფლიდგან დანიშნულ ვადაზედ. თუ რომ ამ დროსთვის მიმავალ ნახშირში მოხდა საქონლის რიცხვში ცვლილება რაიმე მიზეზით, თემის წარმომადგენელი, ან ამორჩეული პირი აღნიშნავს ცვლილების მიზეზს, და თუ მოკვდა, დაუყონებლივ ატყობინებს ექიმ-ვეტერინარს სიკვდილის მიზეზის გამოსაკვლევად.

7. საქონლის გამგზავრებას სათემოდან სხვა მაზრაში, თემის გამგეობა აცნობებს იმ მაზრის ერობის გამგეობას. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ატყობინებს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს.

8. მეოთხე § მოხსენებული, საქონლის სია როგორც გზაში, აგრეთვე მთაში, წარედგინება ექიმ-ვეტერინარს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საქონლის ზედამხედველობა მთაში.

9. სოფლის ადმინისტრაცია მოვალეა არ გაუშვას საქონელი იალაღზედ უმოწმობოთ, რომელიც მოხსენებულია მე-5 §-ში და შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, როდესაც მთაში მისული საქონელს არ ექნება აღნიშნული მოწმობა, ექიმი-ვეტერინარი, გააჩერებს რა საქონელს იალაღზედ ერთ ადგილას, თვალყურს ადევნებს ათი დღის განმავლობაში და აძლევს საქონლის პატრონს სამართალში.

10. საქონლის გარეკა იალაღზედ ვეტერინარის ნებართველად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იალაღი მდებარეობს იმ სოფლის არემარეში, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება და როდესაც, როგორც თვითონ სოფელი აგრეთვე იალაღიც უშიშარია ჭირის მხრივ.

11. თემის წარმომადგენელს და იმ ამორჩეულ პირთ, რომელნიც მიყვებიან საქონ-ლს, ეკისრებათ: შეინახონ იალაღზედ წასვლის ნებართვის მოწმობა, იარონ დანიშნული გზით, წარუდგინონ საქონელი ექიმ-ვეტერინარს გასაშინჯავად და თვალყური დაიჭირონ საქონელზედ მთაბარობის დროს.

12. დაჭირიანებულ სოფლიდგან იალაღზედ საქონლის გარეკა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ადგილობრივ საკმარისი არაა საქონლისთვის საჭმელი და წყალი. საქონელს თან გაჰყვება კომისია, მოათავსებს საქონელს მახლობელ საძოვრებზედ განცალკევებულ ადგილს, სადაც საკმარისი იქნება საჭმელი და წყალი, და დარჩება იქ ჭირის მოსპობამდე.

13. საქონელი მიემგზავრება იალაღზედ და ბრუნდება უკან ბარში დანიშნული გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ასცდება ნაჩვენებ გზას, ადგილობრივი მილიცია მოვალეა მოაბრუნოს დანიშნულ გზაზე.

14. იალაღზედ დაბინავებულ საქონელს თვალყურს ადევნებს თემის წარმომადგენელნი და სოფლის საზოგადოებისაგან ამორჩეულნი პირნი.

15. ერთი იალაღიდან მეორეზედ საქონლის გადარეკა შეიძლება მხოლოდ ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის ნებართვით.

16. იალაღები იყოფება რაიონებად, რომელსაც ზედამხედველობენ: ექიმი-ვეტერინარი, ერობის გამგეობის წარმომადგენელი და მათთან დანიშნული მილიციონერები.

17, საქონლის დაბრუნება იალაღიდან უკანვე ბარად სწარმოებს იმავე წესრიგით.

18. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი მიემგზავრება მეზობელ რესპუბლიკის იალაღზედ, მაზრის ერობის გამგეობა წარმოუდგენს შ. ს. ს. ვეტ. სანიტ. განყოფილების ადგილობრივ ექიმ ვეტერინარისაგან შემოწმებულ სიას, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება; სიაში აღნიშნავს მაზრას და იალაღს, სადაც საქონელი მიდის შ. ს. ს. ვეტ. სანიტ. განყოფილება გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით უგზავნის სიებს მეზობელ რესპუბლიკის მთავრობას.

19. მეზობელ რესპუბლიკიდან სამთაბარო საქონლის შემოშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ადგილები, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება უშიშარი იქნება ჭირის მხრივ ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის შემწეობით და ამასთანავე წინდაწინვე ნაჩვენები გზებით, ეს გზები იმყოფება ადგილობრივ მთავრობის ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ

20, ამგვარ გზებად ითვლება:

1. სოფ. ყარაბახი, ახალქალაქის მაზრისა.
2. სოფ. ტროიცკოე, ახალქალაქის მაზრისა.
3. აღლალის უღელტეხილი, ბორჩალოს მაზრისა.
4. ბეზობდალის უღელტეხილი სოფ. შაგალის ახლოს. ბორჩალოს მაზრისა.

ადერბეიჯანიდან:

ბანჯის გუბერნიიდან

1. სოფ. ქორეულიდან სოფ. ლამბალოზედ, ბორჩალოს მაზრისა.
2. წითელი ხიდით მდ. ხრამზედ, ბორჩალოს მაზრისა.
3. სად. ფოილოზედ, თბილისის მაზრისა.
4. დ. ლაგოდეხზედ, სიღნაღის მაზრისა.

21. გზების დანიშვნას რესპუბლიკის მთავრობა აცნობებს იმ მეზობელ სახელმწიფოს ადმინისტრაციას, საიდგანაც საქონელი მიემგზავრება.

22. ცხვრის ფარის გარეკა საზაფხულო იალაღზედ და უკანვე დაბრუნება ბარად სწარმოებს დაუბრკოლებლივ.

განყოფილების გამგის თანამდ. აღმასრულებელი დ. ახმეტელი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელი ქ., 3

ბლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ ბლეხებს ყოველგვარ საერთო—საზოგადო— საჭიროებათა (აღგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა ფასალი მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №3

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მსურდნიათ აწყობდიან რედაქციას ჩვენ ქალაქ-ოლქების (ოლქისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.